ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3448627

ნომერი: AR1523295

თარიღი : 15.07.2017

გაცემის თარიღი : 03.08.2017

გაცნობის თარიღი : 03.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მურადინ ფრიდონი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 ივლისს №AR1523295 განცხადებით მომართეს რამაზ ტვილდიანმა და მერაბი თარხნიშვილმა და

მოითხოვეს ამავე სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ი.ბ.ა. "დიღმის სახლი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.035.580), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 მაისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორება, კერძოდ, შეთანხმებული პროექტის -2.80 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება, ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 239.34 კვ.მ-ის ნაცვლად 241.2 კვ.მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 5100.41 კვ.მ-ის ნაცვლად 5102.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის -2.80 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს, ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საზაფხულო ფართობი 241.2 კვ.მ და საერთო ფართობი 5102.3 კვ.მ. სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.